

პტიბათვის მოგონებებიდან

განთიადი იდგა. მთელი კახეთი წისლის სუდარაში გახვეულიყო. ერეკლე მეფე სარკმელთან იჯდა და მოსასხმის ბოლოთი წმენდდა დაორთქლილ მინას, ხელში ჩაით სავსე ფინჯანი ეჭირა და მის სახელურს მოუსვენრად აწვალებდა. აშკარად რაღაცაზე ჩაფიქრებულიყო. უეცრად დანამული ფანჯრები ოქროსფრად აციმციმდა. აღმოსავლეთ საქართველოში დუმილი დაირღვა. ჭრიჭინების მომაბეზრებელი ხმაური მოსახლეობის ფუსფუსმა გადაფარა. სინათლით მოცული სამეფო ბაღი გადაშლილიყო, როგორც ორნამენტებით შემკული აბრეშუმის ქსოვილი. თიბათვის მზე მტერივით დაუნდობლად აცხუნებდა და ქანცს აძრობდა არემარეს. მაშინაც ასეთი ამინდი იყო, ფიქრობდა მეფე და თვალწინ უდგებოდა რამდენიმე კვირის წინ მომხდარი ამბავი: მეომრები ერთმანეთში ირეოდნენ, ყველას მიზანი იერიშის წარმატებით განხორციელება იყო. ბრძოლის ამ ნაწილს არც ბუნება ტოვებდა უპასუხოდ: საშინლად წვიმდა, ჭექა-ქუხილი აზანზარებდა დედამიწას. ისეთი შეგრძნება სუფევდა თითქოს ცა და ხმელეთიც ერთმანეთს ეომებოდა. ლაშქარმა იცოდა, ამ ყოველივეს მსხვერპლი მოჰყვებოდა, მაგრამ ეს არ აძლევდათ ნებას, რომ მტრისთვის ზურგი ეჩვენებინათ. მოულოდნელად წვიმა შეწყდა, ცამ ფერი იცვალა. გამძინვარებული ბუნება დამშვიდდა და ირგვლივ მოისმა სიხარულით, აღელვებით თუ სევდით სავსე ხმები. 'გავიმარჯვეთ!' ყვიროდა ლაშქარი. ქართველებმა დაამარცხეს განჯის მმართველი, მაგრამ როგორც ელოდნენ, ამ შეტაკებას დიდძალი მსხვერპლი მოჰყვა, მეზობლები მიძიმედ დაიჭრნენ. ქართველი ექიმების ცოდნა და გამოცდილება კი ვერ აკმაყოფილებდა იმ მოთხოვნებს, რაც პაციენტის განსაკურნებლად იყო საჭირო.

დაღონებულმა კახეთის მეფემ გადმოიღო თავისი ძვირფასი ბროლის საშაქრე და ხელის ფაქიზი მოძრაობით შაქრის კრისტალები თავის საყვარელ სასმელში დაამატა, უცებ გონება გაუნათდა, გაახსენდა მირზა-გურგენის ნაცნობი ექიმი საფრანგეთიდან, რომელიც მისი ჯარისკაცების დახმარებას შეძლებდა. დაუყოვნებლივ მოიხმო მსახურები და მოწვევა გააგზავნინა. თავად კი წერილის წერას შეუდგა, რომლის მიხედვითაც, მოქალაქე სტეფანე ფოლოაშვილი უნდა დახვედროდა ფრანგ ექიმს. იმის მიზეზი, რომ მან აირჩია სტეფანე და არა ვინმე სხვა, ეს ფოლოაშვილის ერთგული ხასიათის დამსახურება იყო და ამასთანავე ფრანგული ენაც მაღალ დონეზე ჰქონდა შესწავლილი.

ერთი დღის შემდეგ, მოვიდა წერილი, სადაც სტეფანე თანხმობას აცხადებდა მეფის სამსახურზე. რა თქმა უნდა, გასაკვირი იქნებოდა, არ დათანხმებოდა ამ დიდებულ შემოთავაზებას, რომელშიც მეფე დიდძალ გასამრჯელოს ჰპირდებოდა. ერეკლე ყოველდღიურად ნახულობდა ბრძოლაში დაჭრილ მეომრებს და ამხნევებდა. მართლაც, მისი სიტყვები სწეულებს გულზე მალამოს მსგავსად ეფინებოდათ.

დადგა თიბათვის ბოლო, ახალგაზრდა ექიმი საქართველოსკენ მოეშურებოდა. სტეფანე კი მის დასახვედრად ემზადებოდა, იგი უბრალო კაცი იყო არაფრით გამორჩეული. ერთი შეხედვით მისი სოციალური სტატუსის გარკვევაც კი შეუძლებელი იყო, მაგრამ ღირსეულ, პატიოსან ადამიანად ითვლებოდა ქვეყანაში.

ფრანგმა ექიმმა საქართველოს საზღვარი გადმოკვეთა თუ არა, იგრძნო, რომ სხვა სამყაროში გადაინაცვლა. ფერებს, რომლისგანაც საქართველოს ბუნებრივი ლანდშაფტი შედგებოდა ვერანაირ პალიტრაზე აღმოაჩენდა. აქ სიო სხვანაირად არხევდა ფოთლებს, მზის სხივებიც კი სხვაგვარად დათარეშობდნენ ატმოსფეროში.

ახალგაზრდა ექიმი შეხვდა თავის გზამკვლევს, რომელმაც უსაფრთხოდ ჩაიყვანა კახეთში და სამეფო კარზე მიაბრძანა. ერეკლე მეფე ტახტზე იჯდა და რომელიღაც წიგნს კითხულობდა სამეფო ბიბლიოთეკიდან.

-მეფეო, ფიქრობთ ყველაფერი მოგვარდება?-მიუგო ფოლოაშვილმა ერეკლეს.

-რა თქმა უნდა, მე მჯერა ახალგაზრდა ექიმის, მჯერა, რომ იმედებს არ გაგვიცრუებს. რაც შეეხება განსამრჯელოს-სტეფანემ მას სიტყვა არ დაასრულებინა...

-არა, არ არის საჭირო ბრძოლის ერთ-ერთი დაჭრილი მეომარი ჩემი ყრმობის მეგობარია, მისთვის დახმარების გაწევაში, ვერანაირ გადასახადს ვერ ავიღებ!

-ხმები მართალი იყო, მართლაც განსაკუთრებულად ერთგული ადამიანი ყოფილხართ სტეფანე.

-მერწმუნეთ მეფეო, არაა საჭირო ასეთი სიტყვები, მე მხოლოდ ემი მოვალეობა შევასრულე.

მეფემ სტუმრებს ღირსეული დახვედრა მოუწყო და კახეთი დაათვალიერებინა, მაგრამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება ექიმზე ქართველმა ჯარისკაცებმა დატოვეს. ის აღფრთოვანებული იყო მათი გამძლეობით, ბრძოლისუნარიანობით. მკურნალობის პერიოდში ისინი მამაცურად იტანდნენ ყველა ტკივილს, რაც საბოლოოდ მათთვისვე სასიკეთოდ დასრულდა.

მას შემდეგ, პატარა კახი ისევ დახვდება განთიადს, დალევს ჩაის და გაასუფთავებს დაორთქლილ მინას, მაგრამ ამჯერად სუფთა სინდისით შეეგებება, ქვეყანაში კიდევ ერთი ნათელი დღის დაწყებას.

ელენე გიორგაძე, 14 წლის.

ქ. ზესტაფონი. სსიპ ქალაქ ზესტაფონის N2 საჯარო სკოლა. IX კლასი.